სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

# 2017 წლის ანგარიში

საქართველოს იუსტიციის
სასწავლო ცენტრი

# სარჩევი

1. შესავალი .......................................................................3

2. სასწავლო ცენტრის განვითარება..........................................4

3. ტრენინგების მიმართულება
- იურიდიული ტრენინგების სამსახური ......................12
- სოციალური ტრენინგების სამსახური ......................24
- ფინანსური ტრენინგების სამსახური ........................29
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური...........31

4. ტესტირების მიმართულება
- ტესტის შექმნის სამსახური ...................................35
- ტესტირების კოორდინაციის სამსახური ....................38

5. პროექტების მართვის სამსახური ...............................44

6. ტერიტორიული ორგანო ყვარლის სასწავლო ცენტრი ...60

# შესავალი

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), რომელიც საქმიანობას ახორციელებს იუსტიციის მინისტრის, 2015 წლის 28 იანვრის N56 ბრძანების საფუძველზე.

იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიზანია საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის და ქართული სამართლის საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან და ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა სასწავლო პროგრამების განხორციელებით, ასევე, სამინისტროს, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სხვა დაინტერესებული პირების ორგანიზაციული განვითარების, მართვისა და მომსახურების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა.

2017 წელს, იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელებულ ღონისძიებაში, ტრენინგებისა და პროექტების მიმართულებით, ჩართული იყო 7636 მონაწილე, ხოლო, ტესტირება გაიარა 6079 აპლიკანტმა. ტესტის შექმნის სამსახურმა 1472 ტესტური დავალება შეიმუშავა. იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტერიტორიული ორგანო ყვარლის სასწავლო ცენტრს ჰყავდა 2043 სტუმარი. ჯამში, იუსტიციის სასწავლო ცენტრის აქტივობებში, 2017 წლის ფარგლებში, ჩართული იყო 15758 დაინტერესებული პირი.

2017 წლის 1 დეკემბერს, იუსტიციის სასწავლო ცენტრმა ცენტრის იუბილე აღნიშნა. იუსტიციის სასწავლო ცენტრის არსებობას გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. დიდი ხნის განმავლობაში ცენტრი არ ფლობდა საკუთარ ინფრასტრუქტურას, დღეს კი იუსტიციის სასწავლო ცენტრს თბილისსა და ყვარელში გამართული და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ინფრასტრუქტურა და სერვისები აქვს.

დღეისათვის სასწავლო ცენტრი მომხმარებლებს სამართლებრივი, სოციალური, ფინანსური და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით 100-ზე მეტ ტრენინგ მოდულს სთავაზობს.

ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

- ტრენინგი
- ტესტირება/ტესტის შექმნა

იუსტიციის სასწავლო ცენტრი ორიენტირებულია ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ წელს სასწავლო ცენტრის დღის აღნიშვნას დაემთხვა უახლესი, საერთაშორისო სტანდარტების ISO სერტიფიკატის მიღება. ISO-9001 წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე ფართოდ აღიარებულ ხარისხის მენეჯმენტის სისტემას. სერტიფიკატის ფლობა გულისხმობს, რომ მენეჯმენტის კუთხით, ორგანიზაციის საქმიანობა საერთაშორისო ნორმებს შეესაბამება.

პირველად ხარისხის ნიშანი იუსტიციის სასწავლო ცენტრმა 2014 წელს მიიღო, ხოლო, 2017 წელს მოპოვებული უახლესი ISO-9001:2015 სერტიფიკატის მოქმედების ვადა 3 წელია.

# სასწავლო ცენტრის განვითარება

## 1.1. იუსტიციის სასწავლო ცენტრმა ახალი ISO-9001:2015 სერტიფიკატი მიიღო

2017 წლის 1 დეკემბერს, იუსტიციის სასწავლო ცენტრმა ცენტრის იუბილე აღნიშნა. იუსტიციის სასწავლო ცენტრის არსებობას გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი.

იუსტიციის სასწავლო ცენტრი ორიენტირებულია ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ წელს სასწავლო ცენტრის დღის აღნიშვნას დაემთხვა უახლესი, საერთაშორისო სტანდარტების ISO სერტიფიკატის მიღება.

საერთაშორისო სტანდარტების ISO სერტიფიკატის მიღება. ISO-9001 წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე ფართოდ აღიარებულ ხარისხის მენეჯმენტის სისტემას. სერტიფიკატის ფლობა გულისხმობს, რომ მენეჯმენტის კუთხით, ორგანიზაციის საქმიანობა საერთაშორისო ნორმებს შეესაბამება.

პირველად ხარისხის ნიშანი იუსტიციის სასწავლო ცენტრმა 2014 წელს მიიღო, ხოლო, 2017 წელს მოპოვებული უახლესი ISO-9001:2015 სერტიფიკატის მოქმედების ვადა 3 წელია.








## 1.2. გაფორმდა მემორანდუმი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატთან

**მემორანდუმის გაფორმება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატთან**

მემორანდუმის მიზანი პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, ერთობლივი პროგრამების დაგეგმვითა და განხორციელებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოპულარიზაციაა. ამ მიზნის მისაღწევად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი ერთობლივად დაგეგმავენ და განახორციელებენ ღონისძიებებსა და პროექტებს, მათ შორის, ტრენინგებს, სემინარებს, კონფერენციებს, მოამზადებენ და ერთმანეთს გაუზიარებენ საგანმანათლებლო და საინფორმაციო მასალებს.



## 1.3. განხორციელდა საერთაშორისო ანტიკორუფციული აკადემიის ვიზიტი საქართველოში

2017 წლის 24 მარტს იუსტიციის სამინისტროსა და აკადემიას შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის ფარგლებშიც 10 აპრილიდან 21 აპრილის ჩათვლით თბილისის იუსტიციის სასწავლო ცენტრში ანტიკორუფციული აკადემიის სამაგისტრო პროგრამის დასკვნითი მოდულის სემინარები მიმდინარეობდა.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოში იმყოფებოდნენ აკადემიის საერთაშორისო დონის ექსპერტები და 22 სტუდენტი მსოფლიოს 16 ქვეყნიდან. სემინარების მიმდინარეობის პარალელურად სტუმრები ეწვივნენ წარმატებულ სახელმწიფო ინსტიტუტებს საქართველოში, მათ შორის, მასპინძელ იუსტიციის სამინისტროსა და იუსტიციის სახლს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პარლამენტსა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს. აღსანიშნავია, რომ აკადემიის მიერ მოწოდებული შეფასებებით, რომელიც ემყარებოდა სტუდენტების ანონიმურ გამოკითხვას, საქართველოში ვიზიტი შეფასდა, როგორც ძალიან წარმატებული და ნაყოფიერი, სტუდენტები დადებითად აფასებდნენ როგორც სასწავლო ცენტრში სემინარების ორგანიზების ხარისხსა და ინფრასტრუქტურას, ასევე განხორციელებულ ვიზიტებს სახელმწიფო უწყებებში.



## 1.4. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საკანონმდებლო სიახლეების შესახებ, საქართველოს მასშტაბით ჩატარდა უფასო ტრენინგები

იურიდიული ტრენინგების სამსახური აქტიურად მონაწილეობს იმ სამართლებრივი რეფორმების განხორციელებაში, რომლებიც იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით ხორციელდება.

სტამბოლის კონვენციის სარატიფიკაციოდ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ შემუშავებული საკანონმდებლო სიახლეების ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნით სამსახურის მიერ განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა.

## იუსტიციის სამინისტროს სოციალური კამპანია #იმოქმედე
## უფასო ტრენინგები ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის

იუსტიციის სამინისტროს სოციალური კამპანიის #იმოქმედე ფარგლებში იუსტიციის სასწავლო ცენტრმაც მიიღო მონაწილეობა. მომზადდა სპეციალური ტრენინგ-მოდული, გადამზადდა ტრენერთა გუნდი და ჩატარდა უფასო ტრენინგები საქართველოს მასშტაბით 66 ლოკაციაზე 78 ჯგუფისთვის. ტრენინგებს ჯამში 886 პირი დაესწრო.



## 1.5. სასწავლო ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიღეს CEPOL-ის გაცვლით პროგრამაში

სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტო (CEPOL) ევროკავშირის წევრი და კანდიდატი ქვეყნების სამართალდამცავი და იუსტიციის სტრუქტურებისთვის ახორციელებს ტრენინგებს, გაცვლით პროგრამებსა და სხვადასხვა სახის სასწავლო კურსებს.

CEPOL-ის 2017 წლის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, წელს პირველად CEPOL-ის მონაწილეთა კრიტერიუმების გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა პროგრამაში მონაწილეობისათვის წარადგინა ორი კანდიდატი - სოციალური მიმართულების ტრენინგების სამსახურის ტრენერები - ნინო ქობალია და ნინო ელბაქიძე.

სასწავლო ცენტრის მიერ ნომინირებულმა ორივე კანდიდატმა წარმატებით გაიარა შესარჩევი ეტაპი, რის შემდეგაც CEPOL-ის გუნდმა მოახდინა პარტნიორი ქვეყნების იდენტიფიცირება და შერჩეული კანდიდატების დაწყვილება შესაბამისის თემატური მიმართულების მიხედვით.

გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, სოციალური უნარების ტრენინგების სამსახურის პირველი რანგის ტრენერი, ნინო ქობალია 2017 წლის 20 აგვისტოდან 26 აგვისტოს ჩათვლით, იმყოფებოდა ლიტვაში, ხოლო, 17-22 სექტემბერს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა უმასპინძლა ლიტვის პოლიციის სკოლის წარმომადგენელს - პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ბატონ მინდაუგას ბარანაუსკასს.

შერჩეული მეორე კანდიდატი - ამავე სამსახურის მეორე რანგის ტრენერი, ნინო ელბაქიძე მიმდინარე წლის 22-27 ოქტომბერს გაემგზავრა ბულგარეთში, ხოლო 15-21 ოქტომბერს იუსტიციის სასწავლო ცენტრს ვიზიტით ეწვია ბულგარეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფსიქოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელი, ქალბატონი ლილიანა კოლაროვა.

გაცვლითი პროგრამის მიზანია ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება და საერთო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა.



## 1.6. განხორციელდა გუნდური შეკვრის პროგრამა იუსტიციის სასწავლო ცენტრის თანამშრომლებისათვის

ორგანიზაციაში გუნდური მუშაობის სტიმულირება ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციისა და ენთუზიაზმის შენარჩუნებას. შეკრული გუნდი უკეთ უმკლავდება წამოჭრილ პრობლემებს და უფრო ადვილად ეგუება ცვლილებებს, რამდენადაც თანამშრომლები კონცენტრირებულნი არიან ერთმანეთის დახმარებასა და მხარდაჭერაზე, ასევე გააზრებული აქვთ საერთო მიზანი, შესაბამისად, ორგანიზაციული მიზნების მიღწევის პროცესში უკეთესად ხდება *საერთო ძალისხმევის მობილიზება.*

2017 წლის 30 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის თანამშრომელთა გუნდური შეკვრის ტრენინგი ტერიტორიულ ორგანო ყვარლის სასწავლო ცენტრში განხორციელდა. ტრენინგს სასწავლო ცენტრის 41 თანამშრომელი დაესწრო.

პროგრამას კოორდინაცია სოციალური მიმართულების ტრენინგების სამსახურმა გაუწია. შეირჩა მოწვეულ ტრენერთა გუნდი, რომელმაც სპეციალურად იუსტიციის სასწავლო ცენტრის თანამშრომლებისთვის ადაპტირებული პროგრამა შეიმუშავა.

გუნდის შეკვრის ტრენინგი მიზნად ისახავდა:

- გუნდში კეთილგანწყობილი კლიმატის შექმნას;
- ორგანიზაციაში ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესებას;
- მონაწილეთა ღიაობისა და გახსნილობის უზრუნველყოფას, ნდობის ხარისხის გაზრდას;
- გუნდის წევრებს შორის მიმღებლობის გაზრდას და პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბებას;
- გუნდში კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესებას;
- გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას.

ტრენინგი დინამიური და ინტერაქტიული იყო. პროგრამა ე.წ. ,,ენერჯაიზერებით“, გუნდური მუშაობის როგორც ინტელექტუალური, ასევე ფიზიკურ აქტივობებთან დაკავშირებული სავარჯიშოებით, ფსიქოლოგიური და სტრატეგიული გუნდური თამაშებით, ასევე სიმულაციებით იყო გაჯერებული.





## 1.7. ჩატარდა ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით

ხარისხის მართვის სისტემის შემუშავების, დანერგვისა და სერტიფიცირების (ISO 9001:2015 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად) მიზნით, 2017 წლის 5-6 ოქტომბერს 2 დღიანი ტრენინგი „ისო 9001:2015“ ჩატარდა. ტრენინგი საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის 15-მა თანამშრომელმა გაიარა.

ტრენინგი შემდეგ თემებს მოიცავდა:
- მენეჯმენტის სისტემები - ისტორია;
- ისო 9001:2015 - სტრუქტურა და შინაარსი;
- პრინციპები და განმარტებები;
- ორგანიზაციის კონტექსტი;
- რისკებზე დაფუძნებული ხედვა - დანერგვა;
- პროცესებისადმი მიდგომა;
- ISO 9001:2015, თავი 7 - მხარდაჭერა;
- დოკუმენტირებული ინფორმაცია;
- ISO 9001:2015, თავი 8 - ოპერირება;
- ISO 9001:2015, თავი 9 - შედეგების შეფასება;
- მუდმივი გაუმჯობესება.

2017 წლის 9-10 ოქტომბერს „ხარისხის სისტემის მენეჯერების შიდა აუდიტორების მომზადება“ (2 დღიანი ტრენინგი) განხორციელდა, IRCA-ს მიერ აღიარებული პროგრამით. ტრენინგი სასწავლო ცენტრის 11-მა თანამშრომელმა გაიარა.

ტრენინგებს შპს „ისო კონსალტინგის“ საერთაშორისო სასერტიფიკატო ორგანიზაციის (Lloyd's Register) მიერ სერტიფიცირებული ტრენერი უძღვებოდა.



# იურიდიული ტრენინგების სამსახური

4250 მონაწილე

## ზოგადი ინფორმაცია

იურიდიული ტრენინგების სამსახური სამართლებრივ თემებზე ტრენინგების და სხვა სასწავლო ღონისძიებების ორგანიზებით უზრუნველყოფს იუსტიციის სამინისტროს სისტემის, ასევე, სხვა ნებისმიერი დაინტერესებული საჯარო, თუ კერძო ორგანიზაციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. სპეციალური სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და ტრენინგების ჩატარების გზით სამსახური მონაწილეობს მიმდინარე სამართლებრივი რეფორმების იმპლემენტაციაში, ასევე, ხელს უწყობს საზოგადოებაში მართლშეგნების ამაღლებას.

სამსახური განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დარგის წამყვან ექსპერტებთან თანამშრომლობას და მუდმივად აახლებს ტრენერთა ბაზას. სამსახური ორიენტირებულია სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და სწავლების პროცესის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებაზე.

2017 წელს იურიდიული ტრენინგების სამსახურის მიერ 50-მდე თემაზე განხორციელდა **303 სასწავლო ღონისძიება**, რომელსაც ესწრებოდა **4250 მონაწილე**. განხორციელებული სასწავლო ღონისძიებები (ტრენინგი, სემინარი, კონფერენცია, სამუშაო შეხვედრა, მრგვალი მაგიდა და სხვ.) მონაწილეთა 80%-ზე მეტმა შეაფასა დადებითად.

### სატრენინგო თემები და ტრენინგ-მოდულები

ცენტრის ბაზაზე არსებული 70-მდე ტრენინგ-მოდულის გარდა, სამსახური დამკვეთ პირებს სთავაზობს ნებისმიერ სამართლებრივ თემაზე მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული სპეციალური პროგრამის შემუშავებას.

### დამკვეთი პირები

იურიდიული ტრენინგების სამსახური სატრენინგო მომსახურების გაწევით თანამშრომლობს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

| დამკვეთი პირები | სატრენინგო ჯგუფების რაოდენობა | ტრენინგზე მონაწილეთა რაოდენობა |
|---|---|---|
| საჯარო დაწესებულებები | 69 | 1241 |
| კერძო ორგანიზაციები | 53 | 517 |
| საერთაშორისო ორგანიზაციები | 58 | 1158 |
| უფასო ტრენინგები დარეგისტრირებული ფიზიკური პირებისთვის | 45 | 448 |
| კამპანია #იმოქმედეს ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები | 78 | 886 |

# 1.იუსტიციის სამინისტროს სისტემისთვის განხორციელებული აქტივობები

სამსახურის უპირველესი დანიშნულებაა იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის მომსახურების გაწევა, ასევე ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა.

## 1.1. ტრენინგები იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებისთვის

**გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით** იუსტიციის სამინისტროს სისტემის საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე "სიახლეები საჯარო სამსახურის გავლის წესში და სისტემაში გასატარებელი ცვლილებები". ტრენინგს დაესწრო 30 მონაწილე.

იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი „საჯარო ინფორმაცია და პერსონალურ მონაცემთა დაცვა“. **აქტივობა განხორციელდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატთან თანამშრომლობით ევროკავშირისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით.**





## 1.2. ტრენინგები იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ებისთვის

იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის (სსიპ) ჩატარდა 71 სასწავლო აქტივობა, რომელსაც დაესწრო ჯამში 1546 მონაწილე.

| საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) | სატრენინგო ჯგუფების რაოდენობა | ტრენინგზე მონაწილეთა რაოდენობა |
|---|---|---|
| საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო | 40 | 842 |
| სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო | 24 | 552 |
| იუსტიციის სახლი | 5 | 112 |
| საკანონმდებლო მაცნე | 1 | 21 |
| იუსტიციის სასწავლო ცენტრი | 1 | 17 |

## 1.3. საჯარო რეესტრის ავტორიზებულ პირთა სასერტიფიკატო პროგრამები

2014 წლიდან სამსახური ორგანიზებას უწევს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ავტორიზებული პირების სასერტიფიკატო პროგრამებში ტრენინგებსა და გამოცდას.
2017 წელს ჩატარდა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს ავტორიზებული პირების სასერტიფიკატო ტრენინგი და გამოცდა შემდეგ პროგრამებში:

- განცხადებებისა და უფლებების რეგისტრაციის ელექტრონული წიგნი- **NAPRWEB 3.5**
- უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრი- **NAPRREG**
- გირავნობა/ლიზინგის უფლებათა რეესტრი- **MMR**
- მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის საკითხები- **ENWEB**

ოთხივე პროგრამის სასერტიფიკაციო ტრენინგი ჩატარდა ჯამში 50 ჯგუფისთვის, რომელიც გაიარა სხვადასხვა დაწესებულების 501-მა წარმომადგენელმა, ხოლო, სასერტიფიკაციო გამოცდა წარმატებით ჩააბარა 514-მა აპლიკანტმა.

| პროგრამა | სატრენინგო ჯგუფების რაოდენობა | ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა | გამოცდაზე წარმატებულ აპლიკანტთა რაოდენობა |
|---|---|---|---|
| NAPRWEB3.5 | 43 | 441 | 453 |
| NAPRREG | 1 | 2 | 3 |
| ENWEB | 5 | 48 | 48 |
| MMR | 2 | 10 | 10 |

## 1.4. საზოგადოებრივი ცენტრების ოპერატორთა მოსამზადებელი კურსები

საზოგადოებრივი ცენტრების განვითარების პროექტის ფარგლებში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით, 2014 წლიდან რეგულარულად ტარდება ოპერატორთა მოსამზადებელ კურსები. კურსის მიზანია ოპერატორების მუდმივი მომზადება/გადამზადება, რათა ადგილობრივი მოსახლეობისთვის მომსახურების გაწევა მოხდეს მაღალი სტანდარტით.

2017 წელს მომზადება/გადამზადების კურსი 18 ჯგუფისთვის ჩატარდა.

კურსი გაიარა ჯამში 226 ოპერატორმა.

## 1.5. დოკუმენტების შერჩევის, დამუშავებისა და მათთვის შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარების თეორიული და პრაქტიკული კურსი

საქართველოს ეროვნულ არქივთან თანამშრომლობით შეიქმნა „დოკუმენტების შერჩევის, დამუშავებისა და მათთვის შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარების თეორიული და პრაქტიკული კურსი". კურსი განკუთვნილია იმ კერძო არქივის თანამშრომლებისთვის, რომელსაც სურს ეროვნული არქივის აკრედიტაციის მოპოვება. კურსი გაიარა 4 პირმა.

## 2. პროგრამები ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთათვის

იუსტიციის სასწავლო ცენტრის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომელთათვის ტრენინგების ორგანიზებას.

2014 წლიდან მიმდინარეობს სპეციალური პროგრამების მომზადება. პროგრამები სრულად ითვალისწინებს და მაქსიმალურად არის მორგებული ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საჭიროებებზე. ცენტრის ბაზაზე შექმნილია 30-ზე მეტი ასეთი სპეციალური პროგრამა.

აღნიშნული პროგრამების გამოყენებით 2017 წელს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის ორგანიზება გაეწია ტრენინგებს 11 ჯგუფისთვის.

| | ტრენინგის სახელწოდება | მონაწილეთა რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირება, დამტკიცება, შესრულება, ანგარიშგება; | 8 |
| 2 | ფინანსების მართვა და ბუღალტერია | 4 |
| 3 | მუნიციპალური ქონების მართვა და განკარგვა | 2 |
| 4 | მშენებლობის ნებართვის გაცემა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება | 10 |
| 5 | მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა | 17 |
| 6 | სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის საკითხები მუნიციპალიტეტში | 7 |
| 7 | ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | 3 |
| 8 | შიდა აუდიტი | 4 |
| 9 | სახელმწიფო შესყიდვები | 6 |
| 10 | მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა | 6 |
| 11 | ეფექტური მომსახურების ტექნოლოგიები | 5 |

## 3. მიმდინარე რეფორმებში მონაწილეობა

იურიდიული ტრენინგების სამსახური აქტიურად მონაწილეობს იმ სამართლებრივი რეფორმების განხორციელებაში, რომლებიც იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით ხორციელდება.

### 3.1. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საკანონმდებლო სიახლეების მხარდაჭერა

სტამბოლის კონვენციის სარატიფიკაციოდ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ შემუშავებული საკანონმდებლო სიახლეების ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნით სამსახურის მიერ განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა.

### იუსტიციის სამინისტროს სოციალური კამპანია #იმოქმედე
### უფასო ტრენინგები ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის

ტრენინგებს ჯამში 886 პირი დაესწრო.



## ტრენინგი სტუდენტებისთვის

საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ინიციატივით, მაცნეს კლუბის წევრებთან (სხვადასხვა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან) შედგა ორსაათიანი შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ ტრენერმა მონაწილეებს გააცნო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ განხორციელებული საკანონმდებლო სიახლეები. შეხვედრას ესწრებოდა 21 მონაწილე.

## ტრენინგები გურიის და ქვემო ქართლის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებისთვის

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით გურიისა და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის (მაღალი რანგის თანამდებობის პირებისთვის - გამგებლები, საკრებულოს თავმჯდომარეები, შესაბამისი მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები), ასევე, სამართალდამცავი ორგანოს და სხვა სერვისის მიმწოდებელი უწყების წარმომადგენელებისთვის გაიმართა 2 დღიანი (13 სთ) გასვლით ტრენინგი თემაზე: „გენდერული თანასწორობის და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის“. ტრენინგი ჩატარდა 4 ჯგუფისთვის. გადამზადდა სულ 66 პირი.

## 3.2. მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის მხარდაჭერა

იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, 2016 წლიდან მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმა მიმდინარეობს. რეფორმის ერთ-ერთი ეტაპი გულისხმობს მიწის ნაკვეთების სისტემური რეგისტრაციის საპილოტო პროექტის განხორციელებას. მიწის სისტემური რეგისტრაციის პროცესში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, მედიატორებს, კონტრაქტორ კომპანიებსა და რეგიონულ ფასილიტატორებს. შესაბამისად, აუცილებელია ისინი აღჭურვილი იყვნენ საჭირო ინფორმაციით, ცოდნითა და უნარებით.

ევროკავშირის და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით მიწის სისტემური რეგისტრაციის საპილოტო 12-ვე არეალში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის ადგილზე ჩატარდა სამდღიანი (24 სთ) ტრენინგები ,,მიწის რეფორმასთან დაკავშირებული პრობლემატიკა და მუნიციპალიტეტის როლი მიწაზე უფლების დადგენის პროცესში". ტრენინგის ფარგლებში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეებს გააცნეს მიწაზე უფლების დადგენის პროცესში მათი უფლება-მოვალეობები, პროცედურები, ვადები და მიწის სისტემურ რეგისტრაციასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.
ტრენინგები მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ორ ეტაპად. პირველი ციკლი მარტში დაიწყო და აგვისტოში დასრულდა. ტრენინგი 11 ჯგუფისთვის ჩატარდა და მასში 144 პირმა მიიღო მონაწილეობა.

| | საპილოტო არეალი (მუნიციპალიტეტი) | მონაწილეთა რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | მანგლისი (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი) | 11 |
| 2 | ჯიმითი (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) | 9 |
| 3 | მზისგული /ბოგდანოვკა (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) | 6 |
| 4 | არბოშიკი (დედოფლისწაყაროს მუნიციპალიტეტი)<br>არხილოსკალო (დედოფლისწყარო მუნიციპალიტეტი) | 23 |
| 5 | კარალეთი (გორის მუნიციპალიტეტი) | 15 |
| 6 | სალხინო (ვანის მუნიციპალიტეტი) | 16 |
| 7 | ვედიდკარი (მარტვილის მუნიციპალიტეტი) | 15 |
| 8 | დაბა შუახევი (შუახევის მუნიციპალიტეტი) | 15 |
| 9 | ლახამულა (მესტიის მუნიციპალიტეტი) | 10 |
| 10 | ზარიძეები (თიანეთის მუნიციპალიტეტი) | 8 |
| 11 | საგურამო (მცხეთის მუნიციპალიტეტი) | 14 |

მეორე ციკლის ფარგლებში, რომელიც ნოემბერსა და დეკემბერში განხორციელდა, ტრენინგი განმეორებით ჩატარდა შვიდი საპილოტო არეალისთვის.

ტრენინგს 6 ჯგუფში დაესწრო, ჯამში 84 პირი.

აქტივობა განხორციელდა მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით.

| | საპილოტო არეალი (მუნიციპალიტეტი) | მონაწილეთა რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | ჯიმითი (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) | 12 |
| 2 | ლახამულა (მესტიის მუნიციპალიტეტი) | 13 |
| 3 | სალხინო (ვანის მუნიციპალიტეტი) | 21 |
| 4 | მზისგული /ბოგდანოვკა (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) | 16 |
| 5 | დაბა შუახევი (შუახევის მუნიციპალიტეტი) | 11 |
| 6 | არბოშიკი (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი)<br>არხილოსკალო (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი) | 11 |

- მიწის სისტემური რეგისტრაციის პროცესში ჩართული პირებისთვის, საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდისთვის და კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლებისთვის თბილისსა და ყვარელში ჩატარდა ტრენინგი ,,მიწის სისტემური რეგისტრაციის პროექტის ტექნიკური და სამართლებრივი ასპექტები".

## 3.3. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების ხელშეწყობა

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის მოდერნიზაცია და ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის სამართლებრივი ჰარმონიზაციის პროცესის ეფექტიანად და ერთგვაროვანი მიდგომით წარმართვის მიზნით უცხოელი ექსპერტის მონაწილეობით შეიქმნა სპეციალური პროგრამა და ჩატარდა ტრენინგები იმ საჯარო მოხელეებისთვის, ვინც მუშაობს სამართლებრივი ჩარჩოს შექმნაზე და ვინც მომავალში იმუშავებს კანონის აღსრულების მიმართულებით. ტრენინგი „ევროკავშირის სამართალი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" ჩატარდა 2 ეტაპად 3 ჯგუფისთვის. ტრენინგს დაესწრო 11 სხვადასხვა უწყების 49 მოხელე. აქტივობა განხორციელდა ევროკავშირის და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით.

| | უწყებები | მონაწილეთა რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | სსიპ საქართველოს კონკურენციის სააგენტო | 7 |
| 2 | პარლამენტის აპარატი | 10 |
| 3 | სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო | 2 |
| 4 | იუსტიციის სამინისტრო | 9 |
| 5 | ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო | 3 |
| 6 | შრომის, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამინისტრო | 6 |
| 7 | სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო | 5 |
| 8 | საქართველოს ეროვნული ბანკი | 5 |
| 9 | ევროინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 1 |
| 10 | მთავრობის ადმინისტრაცია | 1 |
| 11 | სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი" | 3 |



## 4. საზოგადოებაში მართლშეგნების ამაღლების ხელშეწყობა- უფასო ტრენინგები

სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე 2015/16 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებისთვის ახორციელებს არჩევით საუნივერსიტეტო საგანს „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკა“.

„იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკის“ ფარგლებში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა გაიუმჯობესონ ტრენერის უნარ-ჩვევები და მიიღონ სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან ტრენინგების ჩატარების პრაქტიკული გამოცდილება.

კლინიკის განხორციელებით სამსახური ახალგაზრდა, მოტივირებული, ენერგიული სტუდენტებისთვის - მომავალი პროფესიონალებისთვის, ქმნის პროფესიული განვითარების ერთგვარ პლატფორმას და იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტრენერთა ბაზისთვის მუდმივად განახლებად რესურსს.

„საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკა“ 2015/16 წლის შემოდგომის სემესტრიდან ხორციელდება და ტრენერების ბაზას ყოველ სემესტრში სტუდენტების ახალი ნაკადი ემატება. 2017 წლის ბოლოსთვის ტრენერების ბაზაში ირიცხება 54 კლინიკის ტრენერი.

კლინიკის მონაწილე ტრენერები აქტიურად არიან ჩართული ცენტრის პროექტებსა და ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისა და საზოგადოებაში მართლშეგნების ამაღლებისკენ.

2017 წლის განმავლობაში იურიდიული ტრენინგების სამსახურის მიერ იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკის ტრენერების რესურსით ცენტრის სტანდარტის დაცვით შეიქმნა ტრენინგ-მოდული 8 თემაზე და ჩატარდა ტრენინგი 45 ჯგუფისთვის, რომელსაც უფასოდ დაესწრო 448 დაინტერესებული პირი.

| | ტრენინგის დასახელება | ჯგუფების რაოდენობა | მონაწილეთა რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის საშუალებები | 9 | 98 |
| 2 | ნარკოტიკული დანაშაულები - ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია საქართველოში | 4 | 41 |
| 3 | საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი (ზოგადი ცნებები) | 6 | 50 |
| 4 | ბავშვთა უფლებები | 5 | 54 |
| 5 | სახელშეკრულებო სამართალი - ყველაზე ტიპური ხელშეკრულებები | 6 | 66 |
| 6 | კიბერდანაშაული | 3 | 34 |
| 7 | სისხლის სამართლის პრაქტიკული საკითხები | 6 | 52 |
| 8 | სამართალი და ადამიანის უფლებები | 6 | 53 |

# სოციალური მიმართულების ტრენინგების სამსახური

1650 მონაწილე

სოციალური მიმართულების ტრენინგების სამსახურის მიზანია მომხმარებლის საჭიროებაზე მაქსიმალურად მორგებული *ტრენინგ-პროგრამებით,* მაღალკვალიფიციური *ტრენერების* ჩართულობით, *სწავლების თანამედროვე მეთოდების* გამოყენებითა და სასწავლო პროცესების მაღალი *ხარისხით ადმინისტრირებით* სხვადასხვა ორგანიზაციის თანამშრომელთა პიროვნული განვითარების, სოციალური უნარების გაუმჯობესების უზრუნველყოფა, ასევე, ორგანიზაციებში მართვის პროცესების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

სოციალური ტრენინგების სამსახურის ძირითადი საქმიანობაა ტრენინგისა და განვითარების პროგრამების მართვა (დაგეგმვა, განხორციელება, კოორდინაცია, კონტროლი), შემდეგი მიმართულებებით:

- პიროვნული განვითარების კურსები - პიროვნული პოტენციალის რეალიზება, პირადი რესურსების მართვა, პიროვნული სამუშაო კომპეტენციების განვითარება;
- ორგანიზაციული განვითარების კურსები - ორგანიზაციული მართვის პროცესების გაუმჯობესება;
- სპეციფიკური კურსები.

სოციალური მიმართულების ტრენინგისა და განვითარების პროგრამები ხელს უწყობს თანამშრომელთა ცოდნის, უნარების, მოტივაციისა და შრომითი კმაყოფილების გაზრდას, ემოციურ ,,ვენტილაციას" (განტვირთვას), გუნდური შეკიდულობის გაზრდას, ეხმარება თანამშრომლებს უკეთ შეასრულონ სამუშაო და მაქსიმალურად მოახდინონ საკუთარი რესურსების/პოტენციალის რეალიზაცია, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის პროდუქტიულობისა და ეფექტურობის ზრდას.

2017 წლის განმავლობაში, სოციალური მიმართულების ტრენინგების სამსახურის მიერ განხორციელდა სხვადასხვა შინაარსის სასწავლო აქტივობა 104 სხვადასხვა ჯგუფისათვის. ტრენინგი გაიარა სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 1650-მა წარმომადგენელმა.

გარდა ძირითადი საქმიანობისა, სოციალური მიმართულების ტრენინგების სამსახური თანამშრომლები ერთვებოდნენ სხვა სამსახურის საქმიანობაში, ადამიანური რესურსით მხარდაჭერის, ტრენინგების ადმინისტრირებისა და კოორდინაციის მიზნით.

სოციალური მიმართულების ტრენინგების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ცენტრის სხვა სამსახურებთან და თანამონაწილეობს სხვადასხვა პროექტში:

- სასწავლო ცენტრის" **პროექტების მართვის სამსახურისა** და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარდა გუნდური შეკიდულობის ტრენინგი;

- სასწავლო ცენტრის" **იურიდიული ტრენინგების სამსახურის** პროექტის ფარგლებში, კლინიკის სტუდენტებისათვის ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი;

- სასწავლო ცენტრის" **ფინანსური ტრენინგების სამსახურის** საზაფხულო სკოლის ფარგლებში, ჩატარდა გუნდური შეკიდულობის ტრენინგი;

- სასწავლო ცენტრის" **პროექტების მართვის სამსახურის** მიერ განხორციელებული პროექტის ,,ინსტიტუციური სასწავლო ვიზიტი" ფარგლებში ჩატარდა მასტერკლასი ,,ემოციების მართვა".

სოციალური მიმართულების ტრენინგების სამსახური კოორდინაციას უწევს სასწავლო - კვლევით პროგრამას: ნიკო მელიქაძის საჯარო ლექციათა ციკლი დემოკრატიული აღმშენებლობის მეთოდოლოგიური პრობლემები (იხ. დანართი 1).

2016 წელთან შედარებით, გამრავალფეროვნდა სატრენინგო მოდულები და სოციალური მიმართულების სამსახურმა ისეთი მოდულები მოიძია, რომლიც თანამედროვე ტენდენციებსა და გამოწვევებს პასუხობს. ასეთი ახალი მოდულებია:

- ქოუჩინგი და ემოციური ინტელექტი;
- კომუნიკაციის ფსიქო-ტექნოლოგიები და მეტყველების ტრენინგი;
- პიროვნული განვითარების ტრენინგი: ემოციური გონიერება და ცვლილებების მართვა;
- შიდა აუდიტი; თვითრეგულაციის ტექნიკები;
- იდუმალი მყიდველის პროექტების დაგეგმვა;
- ოპერაციების მართვა; ემოციების მართვა.



2017 წელს სასწავლო აქტივობა განხორციელდა პიროვნული და ორგანიზაციული განვითარების შემდეგ თემებზე:

| N | დასახელება | მონაწილეთა რაოდენობა |
|---|---|---|
| 1. | გუნდური შექიდულობა, გუნდის შეკვრა | 438 |
| 2. | ეფექტიანი კომუნიკაცია და მომსახურება (პირისპირ, სატელეფონო) | 305 |
| 3. | ტრენერთა ტრენინგი | 108 |
| 4. | რე-ტრენინგი: კომუნიკაციის ფსიქო-ტექნოლოგიები | 92 |
| 5. | რე-ტრენინგი - ეფექტიანი მომსახურება და თვითმენეჯმენტი | 78 |
| 6. | რე-ტრენინგი - მომსახურების სტანდარტები | 71 |
| 7. | ხარისხის მართვა | 53 |
| 8. | მეტყველების ტრენინგი | 69 |
| 9. | ზოგადი მენეჯმენტი | 51 |
| 10. | თვითმენეჯმენტი | 48 |
| 11. | ემოციური ინტელექტი | 42 |
| 12. | სტრესის მართვა | 38 |
| 13. | გუნდური მუშაობა | 36 |
| 14. | ზოგადი მენეჯმენტი და ლიდერობა | 19 |
| 15. | პიროვნული განვითარების ტრენინგი: ემოციური გონიერება და ცვლილებების მართვა | 17 |
| 16. | კონფლიქტის მართვა | 17 |
| 17. | ეფექტიანი კომუნიკაცია და პრეზენტაცია | 16 |
| 18. | ISO 9001:2015 გაცნობიერება | 15 |
| 19. | ქოუჩინგის საფუძვლები | 15 |
| 20. | პროფესიული ზედამხედველობა სოციალურ სამუშაოში | 14 |
| 21. | შიდა აუდიტი | 23 |
| 22. | სტრატეგიული მართვა | 12 |
| 23. | ოპერაციების მართვა | 10 |
| 24. | თვითრეგულაციის ტექნიკები | 10 |
| 25 . | ემოციების მართვა | 11 |
| 26. | კომპეტენციებზე აგებული შეფასების სისტემა | 9 |
| 27. | ადამიანური კაპიტალის მართვა: შეფასების სისტემა საჯარო სექტორში | 16 |
| 28. | ანტისოციალური ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები - არასრულწლოვანთა ფსიქოლოგია | 7 |
| 29. | ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები - სამუშაო სპეციფიკა | 6 |
| 30. | იდუმალი მყიდველის პროექტების დაგეგმვა | 4 |
| | სულ: | 1650 |

## ანალიზის შედეგები დამკვეთი ორგანიზაციების მიხედვით

სოციალური მიმართულების ტრენინგების სამსახურის სტატისტიკა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით:

| სოციალური უნარების ტრენინგების მიმართულება | |
|---|---|
| **ორგანიზაცია** | **მონაწილეთა რაოდენობა** |
| იუსტიციის სახლი (თბილისი და რეგიონები) | 836 |
| საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო | 98 |
| სემეკი | 13 |
| დანაშაულის პრევენციის ცენტრი | 69 |
| იუსტიციის სამინისტროს აპარატი | 63 |
| აღსრულების ეროვნული ბიურო | 35 |
| სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო | 214 |
| საქართველოს საკანონმდებლო მაცნე | 19 |
| იუსტიციის სასწავლო ცენტრი | 157 |
| სხვა | 146 |
| სულ: | 1650 |

**დანართი 1.** სასწავლო - კვლევითი პროგრამა: ,,ნიკო მელიქაძის საჯარო ლექციათა ციკლი დემოკრატიული აღმშენებლობის მეთოდოლოგიური პრობლემები“
2016 წლის 2 სექტემბრიდან დაიწყო ,,სასწავლო - კვლევითი პროგრამა: დემოკრატიული აღმშენებლობის მეთოდოლოგიური პრობლემები“, რომელსაც უძღვებოდა ბატონი ნიკო მელიქაძე.
სასწავლო - კვლევითი პროგრამაში მონაწილეობდა პროექტის „50 საჯარო მოხელე“ 9 კურსდამთავრებული. კურსის ფარგლებში ჩატარდა 50 შეხვედრა:

**პროგრამის მიზანი:** სახელმწიფო მოხელეთა ახალ თაობაში პოლიტიკური აზროვნების კულტურის ამაღლება. კერძოდ, პოლიტიკის ანალიზის, მისი სტრატეგიული გააზრებისა და პოლიტიკის სტრატეგიული დაფუძნების მეთოდოლოგიური და ანალიტიკური აპარატის გაცნობა და მისი ელემენტების ათვისება. საბოლოო ჯამში, განხილული წყაროების დამუშავება სტატიების მომზადებისა და კრებულის გამოცემის მიზნით.

**პროგრამის აღწერა:** პროგრამა მოიაზრებდა მუშაობას 18 თვის განმავლობაში:
I ნაწილი - თეორია (12 თვე) - 2016 წლის სექტემბერი - 2017 წლის აგვისტო;
II ნაწილი - პრაქტიკა (6 თვე) – 2017 წლის სექტემბერი - 2018 წლის თებერვალი.
პროგრამის ფარგლებში მონაწილეებმა იმუშავეს სტატიებზე, რომელიც დამუშავდა სახელმძღვანელოს სახით.

# ფინანსური ტრენინგების სამსახური

52 მონაწილე

ფინანსური ტრენინგების სამსახურის მიერ 2017 წელს 2 სასწავლო აქტივობა განხორციელდა, რომელშიც ჩართული იყო სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 52 წარმომადგენელი.

## ტრენინგები:

საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგების კურსი (20 მონაწილე)

## პროექტები

### საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის საზაფხულო სკოლა

2017 წლის 23 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა განახორციელა საზაფხულო სკოლის პროექტი.
პროექტის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, **მათემატიკის ტურნირით** შეირჩა ათ-ათი მოსწავლე მე-9, მე-10, მე-11 კლასებიდან, (უნდა გამოვლენილიყო 30 მოსწავლე, მაგრამ მსგავსი შედეგების გამო მე-9 და მე-11 კლასებში გამოვლინდა 11-11 გამარჯვებული), ჯამში გამოვლინდა 32 გამარჯვებული.

*აღნიშნულ პროექტში კონკურსს გარეშე მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის სკოლებიდან რვა მოსწავლემ.*

საზაფხულო სკოლაში მონაწილეობისთვის რეგისტრაცია გაიარა **357** მოსწავლემ. საიდანაც შერჩევის ეტაპზე გამოცხადდა **207** მოსწავლე.



# ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების სამსახური

780 მონაწილე

2017 წელს, ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების ტრენინგების სამსახურის მიერ განხორციელდა 50 განსხვავებული სასწავლო აქტივობა, რომელშიც ჩართული იყო სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 780 წარმომადგენელი.

**ტრენინგები:**

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო:

- მუნიციპალიტეტის მართვის სისტემა (284 მონაწილე; სხვადასხვა რეგიონული თვითმმართველობის წარმომადგენელი)
- IT საბაზისო კურსი (320 მონაწილე; ასპინძის, წყალტუბოს, ონის და კასპის თვითმმართველობების თანამშრომლები)
- საბაზისო კომპიუტერული უნარების ტრენინგი (11 მონაწილე; სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს თანამშრომლისათვის)
- ტრენინგი „ონლაინ სერვისები" (16 მონაწილე; სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს თანამშრომლისათვის)

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი:

- ტრენინგი "MS Access" (4 მონაწილე; სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის თანამშრომლისათვის);

- სსიპ იუსტიციის სახლი;

- ტრენინგი "MS Excel Basic+Intermediate„ (25 მონაწილე; სსიპ იუსტიციის სახლის თანამშრომლისათვის);

- სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო

- კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების პროგრამა (44 მონაწილე; სხვადასხვა საჯარო დაწესებულების თანამშრომლისათვის)

**ადმინისტრირება:**

- სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: ტრენინგი „Adobe Illustrator CS6/CC" (საკანონმდებლო მაცნეს 1 თანამშრომლისათვის)
- სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო: ტრენინგი „კიბერუსაფრთხოება" (სხვადასხვა საჯარო დაწესებულების 17 თანამშრომლისათვის)
- სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო: ტრენინგი „ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა - შიდა აუდიტი (სხვადასხვა საჯარო დაწესებულების 17 თანამშრომლისათვის)
- სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო: ტრენინგი „რისკების მართვა" (სხვადასხვა საჯარო დაწესებულების 17 თანამშრომლისათვის)
- სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო: დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (24 მონაწილე; აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლებისათვის)

# უცხო ენის კურსები

201 მონაწილე

## უცხო ენის კურსები

იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას ემსახურება უცხო ენების (ინგლისური, რუსული, ფრანგული, გერმანული) კურსები, რომელთა ადმინისტრირება 2011 წლიდან ხორციელდება.

2017 წელს უცხო ენაში გადამზადდა სამინისტროს ცენტრალური აპარატის და სხვადასხვა სსიპ-ების თანამშრომლები. წლის მანძილზე (ინგლისური, რუსული, ფრანგული) ენის კურსის სხვადასხვა დონე ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად გაიარა ჯამში 201 მონაწილემ (41 ჯგუფი).

| უცხო ენა | ჯგუფის რაოდენობა | მონაწილეთა რაოდენობა |
|---|---|---|
| ინგლისური | 22 | 104 |
| ფრანგული | 5 | 17 |
| რუსული | 14 | 80 |

იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლები 2011 წლის დეკემბრიდან დღემდე უწყვეტად გადიან ფრანგული ენის კურსებს, საქართველოს ფრანგულ ინსტიტუტთან თანამშრომლობით. 2017 წლის ივლისში დასრულდა ფრანგული ენის 4-თვიანი კურსი 5 ჯგუფისთვის. კურსი წარმატებით დაასრულა 14-მა მსმენელმა. მათ სერტიფიკატები გადასცა საფრანგეთის ელჩმა - ბატონმა პასკალ მენიემ.



# ტესტის შექმნის სამსახური

შემუშავდა 1472
ტესტური დავალება

ტესტის შექმნის სამსახურის ძირითადი ფუნქცია იუსტიციის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ სსიპ-ებში კადრების შერჩევისა და შეფასების პროცესის მხარდაჭერაა, რა მიზნითაც სამსახური წლის განმავლობაში მუშაობს ტესტური დავალებების ბაზის მუდმივად განახლებასა და შეფასების ახალი ინსტრუმენტების მომზადებაზე.

ტესტის შექმნის სამსახური, ისევე როგორც ცენტრის ყველა სხვა სამსახური, აგრეთვე, გარე დამკვეთების - სახელმწიფო უწყებებისა თუ კერძო ორგანიზაციების დაინტერესებაზეა ორიენტირებული.

2017 წლის განმავლობაში, ტესტის შექმნის სამსახურმა **11 დაწესებულებას** გაუწია მომსახურება, მათ შორის იუსტიციის სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში შემავალ 7 საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა და 3 სხვა საჯარო დაწესებულებას, მომსახურება მოიცავდა როგორც კადრის შესარჩევი ინსტრუმენტების, ასევე, სხვადასხვა სახის სასერტიფიკატო და საკვალიფიკაციო ტესტების შექმნას.

სულ **40 აქტივობა** შესრულდა, რომლის ფარგლებშიც **1472 ტესტური დავალება** შემუშავდა; შემოწმდა და განახლდა **978 ტესტური დავალება;** შეფასდა **30 წერითი ნაშრომი.**

გრაფიკი ასახავს სამსახურის მიერ წლის განმავლობაში შესრულებული საქმიანობის სტატისტიკას მომსახურების დამკვეთი ორგანიზაციების მიხედვით.
ცხრილში სამსახურის წლის ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტებია მოცემული:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | საერთაშორისო ანტიკორუფციული აკადემიის ვიზიტი | იუსტიციის სამინისტრო | მემორანდუმი გაფორმდა იუსტიციის სამინისტროსა და საერთაშორისო ანტიკორუფციულ აკადემიას შორის, რომლის საფუძველზეც დაიგეგმა და განხორციელდა აკადემიის 22 სტუდენტის ორკვირიანი ვიზიტი საქართველოში. |
| 2. | საკვალიფიკაციო ტესტების შექმნა | სსიპ იუსტიციის სახლი | შეიქმნა 600 ტესტური დავალება ცხრა საკვალიფიკაციო პოზიციისთვის. |
| 3. | ზოგადი უნარების ახალი ტესტის დანერგვა | სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი | შეიქმნა 80 ტესტური დავალება ფსიქომეტრული ანალიზის საფუძველზე. |
| 4. | ინგლისური ენის ტესტის შექმნა ცენტრის ბაზაზე | სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი | შემუშავდა ტესტის ორი ვარიანტი: მოკლე ტესტი - 100 ქულიანი; სრული ტესტი - 200 ქულიანი. |
| 5. | საკონკურსო ტესტების შექმნა | სსიპ იუსტიციის სახლი | შეიქმნა 267 ტესტური დავალება ათი საკონკურსო პოზიციისთვის. |
| 6. | ქართული ენის კურსი | სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო | ქართული ენის 54 საათიანი სასწავლო კურსი ჩატარდა სადახლოსა და იორმუღანლოს არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის. სერტიფიკატი 30-მა მონაწილემ მიიღო. |

2017 წლის თებერვალში ცენტრის ბაზაზე დაინერგა ზოგადი უნარების ახალი ტესტი, რომელიც შედგება ვერბალური და მათემატიკური უნარების შესაფასებელი 5 ბლოკისგან, ჯამში 80 ტესტური დავალებით. სექტემბერში შეიქმნა უნარების ტესტის მეორე ვარიანტი.

2017 წლის აპრილი-ივნისის პერიოდში სამსახურმა იმუშავა ინგლისური ენის სწრაფი და ხანგრძლივი ტესტების შექმნაზე, რომლებიც ენობრივი კომპეტენციების შეფასების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მომზადდა.

2017 წლის განმავლობაში კვლავ აქტიურად გამოიყენებოდა ქართული ენის მართლწერის ტესტი, რომელიც აფასებს ქართულ ენაზე გამართულად წერის უნარს და შეიქმნა ტესტის შექმნის სამსახურის ინიციატივით 2016 წლის აპრილში. 2017 წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტროსა და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ კონკურსების ფარგლებში ტესტი **456-მა კონკურსანტმა** შეასრულა.

ტესტის შექმნის სამსახური 2016 წლიდან ატარებს **ქართული ენის კურსებს** არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან“ თანამშრომლობით, ცენტრის საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით. სამსახურმა ტრენერთა ბაზის შექმნა და მათი გადამზადება უზრუნველყო.

2017 წლის განმავლობაში ქართული ენის კურსები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ორ სოფელში: მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ **სადახლოსა** და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **იორმუღანლოს** საზოგადოებრივ ცენტრებში ჩატარდა. კურსი 14 ნოემბრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა და მას 37 მსმენელი ესწრებოდა, რომელთაგან **30-მა კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი მიიღო.** კურსის ბოლოს მონაწილეებს **ქართული ენის ცოდნის დონის დამდგენი ტესტირება** ჩაუტარდათ.

აღსანიშნავია, რომ ქართული ენის ტესტი სასწავლო ცენტრის ექსკლუზიური პროდუქტია, რომლის საფუძველზეც ცენტრი 2016 წლიდან გასცემს ქართული ენის სერტიფიკატს. აღნიშნული მომსახურებით უკვე ისარგებლა 60-მა პირმა, მათ შორის 36-მა 2017 წლის განმავლობაში.



# ტესტირების კოორდინაციის სამსახური

ტესტირება გაიარა
6079 აპლიკანტმა

ტესტირების კოორდინაციის სამსახურის მიზანს წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების განვითარებისა და ეფექტიანი მუშაობისთვის, კვალიფიციური კადრის დაქირავების მიზნით შესარჩევი კონკურსის ეტაპზე ჩართულობა, კერძოდ სასელექციო ტესტირებების ადმინისტრირების უზრუნველყოფა. აგრეთვე საჯარო მოხელეთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საკვალიფიკაციო და სასერტიფიკაციო გამოცდების პროცესის უზრუნველყოფა.

იუსტიციის სასწავლო ცენტრი კოორდინაციას უწევს საკვალიფიკაციო, სასერტიფიკაციო და საკონკურსო ტესტირებების ადმინისტრირებას.

## იუსტიციის სამინისტროს საჯარო მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები

ტესტირების კოორდინაციის სამსახურის მომსახურებით სარგებლობს როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდული პირები, ასევე სხვა სახელმწიფო თუ კერძო უწყებები. ცენტრთან აქტიურად თანამშრომლობს სსიპ - იუსტიციის სახლი, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული ბიურო, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და სხვა. გარდა ამისა, 2017 წელს კოორდინაციის სამსახურმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის, იურიდიული დახმარების სამსახურისა და საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსების ტესტირების ეტაპის განხორციელება უზრუნველყო.

ცხრილ N1-ში წარმოდგენილია იუსტიციის სამინისტროს და სსიპ-ების საკონკურსო, საკვალიფიკაციო და ტრენინგის შემდგომ ცოდნის შეფასების მიზნით განხორციელებულ ტესტირებებზე გამოცხადებული აპლიკანტების სტატისტიკური მაჩვენებელი.



ცხრილ N2-ში წარმოდგენილია სახელმწიფო უწყებებისა თუ სხვა კერძო კომპანიების საკონკურსო და საკვალიფიკაციო ტესტირებებზე გამოცხადებული აპლიკანტების სტატისტიკური მაჩვენებელი.

### სახელმწიფო უწყებები და კერძო სექტორი




## საჯარო რეესტრის ავტორიზებული პირების სასერტიფიკატო გამოცდა

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი 2014 წლიდან სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს"-თან თანამშრომლობით ახორციელებს საჯარო რეესტრის ავტორიზებული პირების სწავლების კურსს და სასერტიფიკატო გამოცდებს. აღნიშნული სერტიფიკატი ავტორიზებულ პირებს აძლევს უფლებას განახორციელონ შესაბამისი ოპერაციები.

ცხრილში N3 წარმოდგენილია 2017 წელს სასერტიფიკატო გამოცდებში მონაწილე პირთა სტატისტიკური მონაცემები საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 4 ელექტრონულ პროგრამაში მიღებული ავტორიზებული პირების შესახებ.

**ავტორიზებული პირების სასერტიფიკატო გამოცდა**

- NAPRWEB 3.5 განცხადებებისა და უფლებების რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამა - **455**
- NAPRREG უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამა, (ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის მხოლოდ იპოთეკა) - **3**
- MMR მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამა - **10**
- ENWEB მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის მიზნით განცხადებისა და შესაბამისი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ელექტრონული პროგრამა - **48**

## საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის პროექტები

ტესტირების კოორდინაციის სამსახურმა 2017 წელს საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით განხორციელებული სხვადასხვა პროექტისთვის მონაწილეთა შერჩევის მიზნით ტესტირებების ადმინისტრირება უზრუნველყო.

- *იუსტიციის სასწავლო ცენტრის საზაფხულო სკოლა* - საზაფხულო სკოლის მონაწილეთა შერჩევის მიზნით ჩატარდა მათემატიკის ტურნირი. ტურნირი გაიმართა საქართველოს 5 ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, თელავი). მასში მონაწილეობდნენ მე-9. მე-10, მე-11 კლასის მოსწავლეები. ჯამში ტურნირში მონაწილეობა მიიღო 209 მოსწავლემ.

- *ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმიტირებულ სასამართლო პროცესში* მონაწილეთა შერჩევის მიზნით გაიმართა ტესტირება. ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო 69 სტუდენტმა.

- *ჰუმანიტარული სამართლის ეროვნულ შეჯიბრში მონაწილეთა ტესტირება* - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თანამშრომლობით გაიმართა ჰუმანიტარული სამართლის ეროვნული შეჯიბრი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ტესტირება გაიარა 48 სტუდენტმა.



## ადგილობრივი თვითმმართველობა

საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის № 73/სა ბრძანების საფუძველზე იუსტიციის სასწავლო ცენტრი 2017 წელს აგრძელებდა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის საატესტაციო ტესტირების ეტაპის ადმინისტრირებას. ტესტირებები გაიმართა 27 თვითმმართველი ორგანოსთვის. აღნიშნული ბრძანების ფარგლებში წლის განმავლობაში ტესტირება ჩაუტარდა 903 აპლიკანტს.

ცხრილ N4-ში წარმოდგენილია თვითმმართველი ორგანოების ტესტირებებზე გამოცხადებული აპლიკანტების განაწილება რეგიონების მიხედვით.



## ბრიტანეთის საბჭო საქართველოში

2014 წლიდან ბრიტანეთის საბჭო საქართველოში საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე ატარებს ისეთ საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებს, როგორებიც არის ACCA; IELTS; IELTS life skills; IELTS UKVI; KET and PET და ინგლისური ენის დონის შეფასების ელექტრონულ სისტემას APTIS-ს.

2017 წელს აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში სასწავლო ცენტრის ბაზაზე გამოცდა გაიარა 1504-მა ფიზიკურმა პირმა.

*2016 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით ტესტირების კოორდინაციის სამსახურმა მომსახურება გაუწია 11 საჯარო დაწესებულებასა და 60-მდე მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ორგანოს. ტესტირების მონაწილეთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 7825-ს.*

## სერტიფიკაციის სამსახური

სასწავლო ცენტრი პირველი საჯარო დაწესებულებაა, რომელმაც ამზომველების სერტიფიკაციის უფლება მოიპოვა – მიიღო შესაბამისი აკრედიტაცია და დადებითად შეფასდა ხარისხის მართვის (ისო/იეკ 17024:2012/2014) სტანდარტთან შესაბამისობაზე.

საქართველოს კანონის „საჯარო რეესტრის შესახებ" და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 აგვისტოს N388 დადგენილების „მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულებისა და დოკუმენტირების წესისა და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით შესრულებისათვის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულების უფლებამოსილების მქონე პირის სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში შეიქმნა სერტიფიკაციის სამსახური.


სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი"

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-PC-0006

ადასტურებს, რომ

სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი"-ს პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო

მდებარე: ქ. თბილისი, სანდრო ეულის 3ა

შეფასდა და აკმაყოფილებს ეროვნული სტანდარტის სსტ ისო/იეკ 17024:2012/2014-ის მოთხოვნებს

აკრედიტებულია შემდეგ სფეროში: უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილი პირის სერტიფიცირება; (იხ. „აკრედიტაციის სფერო", დანართი 1).

აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი 05 სექტემბერი 2016 წ.

ძალაშია 05 სექტემბერი 2020 წ.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

სერტიფიკაციის პროცესის მიზანია უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილი პირის კვალიფიციურობისა და კომპეტენტურობის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 აგვისტოს N388 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

სერტიფიკაციის პროცესი გულისხმობს თეორიული და პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარებას. 2017 წელს აღნიშნული სერტიფიკატი მოიპოვა 3-მა ფიზიკურმა პირმა.

# პროექტების მართვის სამსახური

721 მონაწილე

2017 წელს, პროექტების მართვის სამსახურის მიერ განხორციელდა <u>15 პროექტი</u>, რომელშიც ჩართული იყო <u>721 მონაწილე.</u>

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზამთრის სკოლა
- კონფერენცია თემაზე „ქალის როლი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში"
- გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე
- ეროვნული შეჯიბრი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში 2017
- მიგრაციის სასწავლო კურსი სტუდენტებისთვის და საჯარო მოხელეებისთვის
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმიტირებული სასამართლო პროცესი
- თანამედროვე იურისტის როლი ადამიანის უფლებების სტრატეგიის საფუძველზე
- ინსტიტუციური ვიზიტი
- ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეული
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკვირაო სემინარები
- ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეული
- კონფერენცია „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა"
- კონფერენცია საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში

## 1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზამთრის სკოლა

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა, გაეროს და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის "ადამიანის უფლებები ყველასათვის" ფარგლებში, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) თანამშრომლობით, 2017 წლის 28 იანვარიდან - 3 თებერვლის ჩათვლით, ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში განახორციელა ზამთრის სკოლა.



პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზამთრის სკოლის მიზანია იურიდიული და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის თანამედროვე ეპოქაში პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. სტუდენტებმა, სკოლის გავლის შედეგად, შეიძინეს ცოდნა, თუ რატომ და როგორ უნდა დაიცვან საკუთარი და სხვისი უფლებები. ზამთრის სკოლაში, ლექციები წაიკითხეს როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივმა ექსპერტებმა. სასწავლო პროგრამა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობა;
- პერსონალური მონაცემების დაცვა თანამედროვე ეპოქაში (Big Data, სოციალური ქსელები, ინტერნეტზე დაფუძნებული სერვისები და სხვა);
- პერსონალური მონაცემების დაცვა და დანაშაულის პრევენცია (კიბერდანაშაული, ტერორიზმთან ბრძოლა, ტრეფიკინგი და სხვა.);
- ბალანსი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის;
- პერსონალური მონაცემების დაცვის განვითარების თანამედროვე ტენდენციები, მონაცემთა დაცვის ევროპული რეფორმა;
- მოქალაქეთა უფლებები და მათი დაცვის გარანტიები;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის საქმიანობა და არსებული პრაქტიკა.





- შემოსული განაცხადების რაოდენობა - 273
- გასაუბრების ეტაპის მონაწილეები - 76
- პროექტის მონაწილეთა რაოდენობა - 28

## 2. კონფერენცია თემაზე „ქალის როლი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში“

2017 წლის 20 მარტს, სასტუმრო Holiday Inn-ში განხორციელდა კონფერენცია თემაზე "ქალის როლი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში".

ღონისძიება ჩატარდა საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს (ELSA Georgia) და გაეროს წარმომადგენლობის საქართველოში ერთობლივი თანამშრომლობით.

კონფერენციის მიზანია ქალების გენდერული როლის გაძლიერება, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კუთხით, ასევე, სტუდენტების ცნობიერების ამაღლება, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით.

კონფერენციის ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ქეთევან სარაჯიშვილმა, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკანონმდებლო ჩარჩოსა და იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით შემუშავებულ ქალთა მიმართ ძალადობის საკანონმდებლო ცვლილებებზე.

კონფერენციაზე, ასევე, განიხილეს ქალის როლი პოლიტიკაში, რომელზეც ისაუბრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ - თამარ ჩუგოშვილმა და საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა - ანა დოლიძემ.

ბიზნესსა და სამოქალაქო აქტივიზმში, ქალის როლის თაობაზე, ისაუბრა გამომცემლობის "წიგნები ბათუმში" დირექტორის მოადგილემ - ნინია მაჭარაშვილმა და განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის დამფუძნებელმა - ქეთევან ჩაჩავამ.



- შემოსული განაცხადების რაოდენობა - 184
- კონფერენციის მონაწილეთა რაოდენობა - 59

## 3. გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე

2017 წლის 4-5 თებერვალს, კაჭრეთში, სასტუმრო ამბასადორში, ჩატარდა პროექტის “გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე” ნახევარფინალი და ფინალი.

გადამწყვეტ რაუნდში გადავიდა ორი გუნდი - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი - “Bona Fide” და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი “Veni Vidi Vici”.

პროექტის გამარჯვებულები თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ. მათ იურიდიული ლიტერატურა და პლანშეტური კომპიუტერები გადაეცათ. გამარჯვებულებმა 2017 წლის განმავლობაში, კვლევით პრაქტიკა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტში გაიარეს.

პროექტი განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) მჭიდრო თანამშრომლობით და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის მხარდამჭერები არიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. პროექტი წარიმართა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში.



- შემოსული განაცხადების რაოდენობა - 44
- პროექტის პრეზენტაცია - 35
- იმიტირებული პროცესის ფინალი - 33

## 4. ეროვნული შეჯიბრი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში 2017

2017 წლის 16 მარტს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ, გამოცხადდა მიღება, 2017 წლის ჰუმანიტარული ეროვნული შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად.

შეჯიბრში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის მე-2, მე-3 და მე-4 კურსის და ასევე, მაგისტრატურის აქტიური სტატუსის მქონე ან სამხედრო მიმართულების სტუდენტებისგან შემდგარ გუნდებს. ერთი უნივერსიტეტიდან შესაძლებელია რეგისტრაცია გაიაროს ერთმა ან რამდენიმე გუნდმა. შეჯიბრში მონაწილე გუნდი უნდა შედგებოდეს სამი წევრისგან. გუნდს მონაწილეობა არ უნდა ჰქონდეს მიღებული ჰუმანიტარული სამართლის ეროვნული შეჯიბრის დასკვნით ეტაპზე.

პროექტი მიზნად ისახავს, საქართველოს მასშტაბით, სტუდენტებში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და მომიჯნავე სფეროების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, სამართლებრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და გაუმჯობესებას და საკონტაქტო ქსელის შექმნას.

2017 წლის 16-21 მარტის ფარგლებში, ჩატარდა პროექტის პრეზენტაციები, ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ქ. თბილისში, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში.

შეჯიბრის დასკვნითი ეტაპი ჩატარდა სიმულაციების ფორმით ყვარლის სასწავლო ცენტრში, 2017 წლის 2-4 ივნისს.

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 30
- ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 45
- გორის ეროვნული თავდაცვის აკადემია - 85
- დარეგისტრირებულთა რაოდენობა - 51
- ტესტირების ეტაპის მონაწილეთა რაოდენობა - 48
- გასაუბრების ეტაპის მონაწილეთა რაოდენობა - 30
- ფინალური ეტაპის მონაწილეთა რაოდენობა - 18



## 5. მიგრაციის სასწავლო კურსი სტუდენტებისთვის და საჯარო მოხელეებისთვის

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრმა (ICMPD) და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ENIGMMA-ს ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2017 წლის 24-26 მარტს, ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში, მორიგი კვირეული განახორციელა.

მიგრაციის სწავლების მეექვსე კვირეული მოიცავდა ლექციებსა და სემინარებს მიგრაციისა და ადამიანის უფლებების შესახებ. პროექტის პირველი დღე შესავალ, გაცნობით სესიას დაეთმო, რომელსაც ქსენია ფილიპენკო უძღვებოდა. მეორე დღეს, მიგრაციისა და ადამიანის უფლებების შესახებ სესიები, მოწვეულმა ექსპერტებმა წარმართეს.

მიგრაციის სწავლების მეექვსე კვირეულში მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა და საჯარო მოხელეებმა. ლექციები და სემინარები ინგლისურ ენაზე განხორციელდა

- ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა - 35



## 6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმიტირებული სასამართლო პროცესი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმიტირებული სასამართლო პროცესის კონკურსის მიზანი ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმიანობით მომავალი იურისტების დაინტერესებაა. კონკურსი გამოცხადდა 2017 წლის 1 მაისს. მასში მონაწილეობის სურვილი საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის 40-მა გუნდმა გამოთქვა, რაც, ჯამში, 120 სტუდენტს შეადგენს.

სტრასბურგის სასამართლოს იმიტირებული პროცესი 24-25 ივნისს გაიმართა. გამარჯვებული გუნდი სტრასბურგში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმიტირებული პროცესის საერთაშორისო რაუნდის შესარჩევ კონკურსში მიიღებს მონაწილეობას. საკონკურსოდ მომზადებაში სტუდენტებს იუსტიციის სამინისტრო დაეხმარება, საერთაშორისო რაუნდში მონაწილეობის შემთხვევაში კი მათი მონაწილეობის ხარჯებს „ELSA საქართველო" დაფარავს. პროექტის საუკეთესო მონაწილე სტაჟირებას დაიწყებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტში. პროექტი განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და „ELSA საქართველოს" ინიციატივით.



- დარეგისტრირებული მონაწილეები - 120
- ტესტირების მონაწილეთა რაოდენობა - 69
- წერილობითი პოზიცია - 24
- ფინალის მონაწილეთა რაოდენობა - 12

## 7. თანამედროვე იურისტის როლი ადამიანის უფლებების სტრატეგიის საფუძველზე

2017 წლის 3 მაისს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ - ბატონმა გოჩა ლორთქიფანიძემ, შეხვედრა გამართა სტუდენტებთან, სადაც მსჯელობა გაიმართა საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაზე, თანამედროვე იურისტის როლზე, იურისტის ყოველდღიურ საქმიანობაში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების მნიშვნელობაზე. აღნიშნული ღონისძიება ეხმიანებოდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 წლისთავს.

აღნიშნულ ღონისძიებაზე დასწრების შესაძლებლობა ჰქონდათ საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს.




- შემოსული განაცხადების რაოდენობა - 42
- საჯარო ლექციის მონაწილეთა რაოდენობა - 28

# 8. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეული

ნარკოვითარებისა და ნარკოტიკის მოხმარების მავნე შედეგების შესახებ, მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა მიზნად დაისახა ანტინარკოტიკული პოლიტიკის შესახებ კვირეულის განხორციელება, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტთან და ნარკომანიასთან ბრძოლის საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით. პროექტის ფინანსური მხარდამჭერი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) იყო.

ზემოაღნიშნული კვირეულის თითოეული დღე თემატური იყო და მოიცავდა როგორც ცნობიერების ამაღლების კომპონენტებს, ისე ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. კვირეულის ფარგლებში, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- კონფერენცია სტუდენტებისათვის
- კონფერენცია სკოლის მოსწავლეებისთვის
- საერთაშორისო კონფერენცია ნარკომანიასთან ბრძოლის თემაზე
- ტრენინგი თემაზე „ნარკოტიკული დანაშაულები - ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია საქართველოში“
- ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია - სირბილში შეჯიბრი ლისის ტბაზე



კვირეულის პირველი დღე დაეთმო კონფერენციას, რომელსაც დაესწრო კონკურსის საფუძველზე შერჩეული საქართველოში 11 ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნებისმიერი ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის 23 სტუდენტი.

კვირეულის მეორე დღეს სკოლის მოსწავლეებისთვის (9-12 კლასი) გაიმართა კონფერენცია ანტინარკოტიკული პოლიტიკის შესახებ. მოსწავლეების შერჩევა განხორციელდა ღია კონკურსის საფუძველზე, სამოტივაციო წერილის შესაბამისად. ღონისძიება განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში. აღნიშნულ კონფერენციას ესწრებოდა 6 მოსწავლე.

კვირეულის მესამე დღეს, 28 ივნისს, იუსტიციის სასწავლო ცენტრში გაიმართა ნარკოტიკებთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოს სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებმა, ისე უცხოელმა ექსპერტებმა.

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა, ანტინარკოტიკული კვირეულის ფარგლებში, მეოთხე და მეხუთე დღეს, ნარკოდანაშაულის შესახებ განახორციელა ტრენინგები ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ტრენინგები ჩატარდა საქართველოს ოთხ დიდი ქალაქში, იუსტიციის სახლებში: ბათუმი, ქუთაისი, გორი და რუსთავი.



კვირეულის მეექვსე დღე ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას დაეთმო. მოეწყო ერთობლივი სირბილი ლისის ტბაზე. აქტივობაში ჩართულნი იყვნენ იუსტიციის სისტემის წარმომადგენლები.

| N | თარიღი | აქტივობა | განაცხადები | მონაწილეთა რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 26 ივნისი | კონფერენცია სტუდენტებისთვის თემაზე „ნარკოდანაშაულები - ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია საქართველოში“ | 36 | 23 |
| 2 | 27 ივნისი | კონფერენცია მოსწავლეებისთვის თემაზე „ნარკოდანაშაულები - ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია საქართველოში“ | 10 | 6 |
| 3 | 28 ივნისი | საერთაშორისო კონფერენცია | | 25 |
| 4 | 29 ივნისი | ტრენინგი თემაზე „ნარკოდანაშაულები ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია საქართველოში | გორი - 20 რუსთავი -17 | გორი - 6 რუსთავი - 8 |
| 5 | 30 ივნისი | ტრენინგი თემაზე „ნარკოდანაშაულები ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია საქართველოში“ | ქუთაისი - 24 ბათუმი - 17 | ქუთაისი - 13 |
| 6 | 1 ივლისი | საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემისა და მის მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ების თანამშრომელთა ერთობლივი სირბილი ლისის ტბაზე | 35 | 18 |



## 9. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკვირაო სემინარები

2017 წლის 6-7 მაისს, ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა, გაეროსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის „ადამიანის უფლებები ყველასათვის“ ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობით, **პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკვირაო სემინარი განახორციელა,** რომელიც განკუთვნილი იყო ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სფეროში მომუშავე პროფესორ-მასწავლებლებისთვის.

**პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკვირაო სემინარის** მიზანია საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით მომუშავე აკადემიური პერსონალის ცნობიერების ამაღლება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე აკადემიური და საჯარო დისკუსიის ხელშეწყობა, ჟურნალისტური საქმიანობის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების უზრუნველყოფა.

- მონაწილეთა რაოდენობა - 14 მონაწილე

## 10. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეული

30 ივლისს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს, სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა ტრეფიკინგის პრევენციის შესახებ მომზადებული ტრენინგების კვირეული გახსნა.

2017 წლის 30 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოს 12 საზოგადოებრივ ცენტრში, ჩატარდა ტრენინგები თემაზე - “ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენცია“.

კვირეული საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან, სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრთან და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა.

- დარეგისტრირებული მოქალაქეთა რაოდენობა - 145
- პროექტში მონაწილეთა რაოდენობა - 113

## 11. კონფერენცია „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა“

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან ერთად განახორციელა კონფერენცია თემაზე „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა.“

პროექტის მიზანია სტუდენტთა ცნობიერების ამაღლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიმართულებით სახელმწიფოში არსებულ სამართლებრივ და ინსტიტუციურ მექანიზმებზე, ტრეფიკინგის თანამედროვე ტენდენციებზე და ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვის მიზნით არსებულ სახელმწიფო სერვისებზე.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში ავტორიზებული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნებისმიერი ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის მოქმედი სტატუსის მქონე სტუდენტებმა.

კონფერენცია განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა სამინისტროსა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობით.

კონფერენციის შედეგად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ ცნობიერება აუმაღლდა 20 სტუდენტს.

- მონაწილეთა რაოდენობა - 20 მონაწილე



## 12. კონფერენცია საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა, 2017 წლის 24 ნოემბერს, განახორციელა პროექტი „კონფერენცია საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში". კონფერენციის ფარგლებში განხილული იყო ძალის გამოყენების სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ურთიერთმიმართება, ძალის გამოყენება და ტერორიზმი, ასევე, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კუთხით არსებული გამოწვევები და მისი იმპლემენტაციის ხელისშემშლელი ფაქტორები. **აღნიშნულ საკითხზე სასაუბროდ, მომხსენებლად მოწვეული იყო სკოტ მარტინი - საერთაშორისო იურიდიული კომპანიის "Global Rights Compliance" დირექტორი.** კონფერენციის ბოლო ნაწილი დისკუსიის ფორმატით წარიმართა.

კონფერენციის მიზანია, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით დაინტერესებული, საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტების ცნობიერების ამაღლება და საკონტაქტო ქსელის შექმნა.

კონფერენციის შედეგად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ ცნობიერება აუმაღლდა 20 სტუდენტს.

## 13. ინსტიტუციური ვიზიტი

2017 წლის 21 ივნისს, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები, ინსტიტუციური სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში იმყოფებოდნენ.

სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს საქმიანობის შესახებ. სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები დეტალურად გაეცნენ ნორმატიული აქტების მომზადების, ექსპერტიზის, რეგისტრაციისა და გამოქვეყნების თავისებურებებს.

პრეზენტაციების შემდეგ, სტუდენტებს ჩაუტარდათ მასტერკლასი თემაზე: „ემოციების მართვა", მასტერკლასს უძღვებოდა იუსტიციის სასწავლო ცენტრის მეორე რანგის ტრენერი ნინო ელბაქიძე. ინსტიტუციური ვიზიტის დასრულების შემდეგ, მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

- ინსტიტუციური ვიზიტის მონაწილეთა რაოდენობა - 11

## 14. პროექტი „საჯარო მოხელეთა ბიბლიოთეკა“

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა, საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობისა და სახელმწიფო მოხელეთა ეფექტურობის ამაღლებისათვის გადაწყვიტა შეექმნა საჯარო სამსახურში დასაქმებული თანამშრომლების საჭიროებებზე მორგებული წიგნების ბაზა ქართულ ენაზე, რათა მათ უკეთ შეძლონ გამოწვევებთან გამკლავება და პროფესიული ცოდნის გაღრმავება.

პროექტის მიზანია საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, სახელმწიფო ენაზე გაეცნონ თანამედროვე, პროფესიულ ლიტერატურას.

ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში, ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნა რობერტ ტეილორის სახელმძღვანელო, მედიისთვის ინტერვიუს მიცემის მეთოდები: მედიასთან ურთიერთობის სრული სახელმძღვანელო.




## 15. პროკურორების ვიზიტი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან მიღწეულ იქნა შეთანხმება პროკურორთა გადამზადების შესახებ. ინიციატივის მიზანია საქართველოს პროკურატურის ორგანოების ინსტიტუციური გაძლიერება და მუშაობის ევროპული სტანდარტების დანერგვა თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების გზით. გადამზადებული პროკურორები მიღებულ გამოცდილებას გამოიყენებენ საქართველოს პროკურატურის ორგანოების მუშაობის ეფექტიანობის გაუმჯობესებისთვის. მგზავრობის, შიდა გადაადგილების, ვიზის ღირებულებისა და განთავსების თანხა დაიფარა სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ.

# ტერიტორიული ორგანო ყვარლის სასწავლო ცენტრი

2043 სტუმარი

იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტერიტორიული ორგანო ყვარლის სასწავლო ცენტრი წარმოადგენს სასწავლო ფუნქციის, თანამედროვე სტანდარტებისა და კომფორტული ინფრასტრუქტურის მქონე ცენტრს, რომელიც მონაწილეებს სთავაზობს როგორც სასწავლო-საცხოვრებელი კომპლექსის სერვისს, ასევე, მოსახერხებელია საქმიანი შეხვედრებისათვის. ეს არის ადგილი, სადაც შესაძლებელია კონცენტრაცია მოახდინოთ თქვენს საქმეზე და იმავდროულად განიტვირთოთ.

## 2017 წლის განმავლობაში ყვარლის სასწავლო ცენტრში განხორციელდა 71 სასწავლო აქტივობა.

მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა 2043 ადამიანი.





## ორგანიზაციები, რომლებმაც ისარგებლეს ყვარლის სასწავლო ცენტრით:

- EMC ააიპ ადამიანის უფლებებისა და მონიტორინგის ცენტრი
- EU4JUSTICE (მართლმსაჯულების რეფორმის მხარდამჭერი პროგრამა)
- GIZ (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება)
- ICMPD (მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი)
- Redbul
- UNDP (გაეროს განვითარების პროგრამა)
- Amcouncils Flex program ( ამერიკული საბჭოები, მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა)
- ფრიდრიხ ებერტის ფონდი
- EU project (საკანონმდებლო ზემოქმედების შეფასება, კანონშემოქმედებითი პროცესი და წარმომადგენლობითი უნარების გაძლიერება)
- კავშირი საფარი
- საქართველოს კარიტასი
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი
- დებატებისა და განათლების ინსტიტუტი
- Georgian students for liberty (ქართველი სტუდენტები თავისუფლებისათვის)
- წითელი ჯვარი
- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო
- სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო
- სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
- იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- სსიპ იუსტიციის სახლი
- სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო
- სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
- სსიპ საკანონმდებლო მაცნე
- სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი
- სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო
- სსიპ ეროვნული არქივი
- სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრი

